

YAMAHA
Make Waves

Yamaha Music Gulf

SCHOLARSHIP PROGRAM 2022/23

Yamaha Music Gulf მოხარულია, ერთ წლიანი შესვენების შემდეგ, გამოაცხადოს სასტიპენდიო პროგრამა 2022/23. პროგრამის მიზანია ადგილობრივი მუსიკალური კულტურის ხელშეწყობა, კერძოდ, წვლილის შეტანა ახალგაზრდა მუსიკოსების შემოქმედებითი პოტენციალის რეალიზებასა და მათ კარიერულ განვითარებაში. რიგით მე-7-ე პროგრამის წარსადგენად, ჩვენ შევარჩიეთ კლარნეტი და გვსურს ხელი შევუწყოთ ყველა სტუდენტს ამ შესაძლებლობის გამოსაყენებლად.

1. პროგრამა

■ სასტიპენდიო პროგრამა 2022/23 გაიმართება კლარნეტისთვის
■ პროგრამის პრიზი - 1 ერთეული Yamaha Custom კლარნეტი, რომელიც გადაეცემა თითოეულ 6 შერჩეულ სტიპენდიანტს
■ ფინალისტები შეირჩევიან აპლიკანტების მიერ შესრულებული ნაწარმოების ვიდეოჩანაწერის საფუძველზე
■ ფინალური მოსმენა გაიმართება დუბაიში UAE , თებერვალში 2023 წელს
■ ფინალისტების მგზავრობის & საცხოვრებელ ხარჯებს ფარავს ორგანიზატორი
■ ფინალისტს შეუძლია თან ახლდეს მასწავლებელი/პროფესორი

2.მონაწილეობისთვის აუცილებელი პირობები

<u>ასაკობრივი შეზღუდვა</u>

სასტიპენდიო პროგრამაში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა კლარნეტისტს ქვემოთ ჩამოთვლილი ქვეყნებიდან, რომლებიც დაიბადნენ 2001 წლის 1 იანვრიდან და 2006 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდში. რეგისტრაციისათვის აუცილებელია ასაკის შემოწმება.

<u>ქვეყნები</u>

სტუდენტები, რომლებსაც აქვთ მუდმივი საცხოვრებელი ადგილი შემდეგ ქვეყნებში/რეგიონებში:

ჯგუფი I - შუა აზია, დასავლეთ აზია და აფრიკა

ჯგუფი II - სომხეთი, აზერბაიჯანი, საქართველო, ყირგიზეთი, მოლდოვა, თურქმენეთი, უზბეკეთი, უკრაინა*

***უკრაინის პასპორტის მფლობელები, რომლებიც დროებით იმყოფებიან უკრაინის ფარგლებს გარეთ, მაგრამ უკრაინაში ცხოვრობდნენ მუდმივი უფლებით 2022 წლის 24 თებერვლამდე, ასევე შეუძლიათ მონაწილეობის მიღება**

3. აპლიკაცია

აპლიკანტმა ქვემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტები უნდა წარუდგინოს თავისი ქვეყნის YAMAHA-ს წარმომადგენლობას (EMAIL ან ამობეჭდილი ფორმით) 1 სექტემბრიდან 2022 წლის 30 ნოემბრის ჩათვლით:

■ განაცხადის ფორმა - შეგიძლიათ ჩამოტვირთოთ Yamaha Scholarship ვებ-გვერდიდან, **ლინკი:** https://asia-latinamerica mea.yamaha.com/en/news_events/2022/202207_YMGF_Scholarship_2022_23.html ან მის მისაღებად მიმართოთ YAMAHA-ს წარმომადგენლობას.

■ პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი (პასპორტი, ID ბარათი)

■ვიდეო ჩანაწერი Youtube-ის ლინკით (იხ.5 პუნქტი ვიდეოჩანაწერის პირობებზე)

4. საკონკურსო რეპერტუარი

პირველი მოსმენა

■აპლიკანტმა უნდა წარმოადგინოს ჩაწერილი ორი სხვადასხვა ნაწარმოები სხვადასხვა სტილით
■ორივე ნაწარმოების ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 20 წუთს

ფინალური მოსმენა:

■თავისუფალი არჩევანი, მაქსიმალური ხანგრძლივობა 10 წუთი

5. ვიდეოს წარდგენის პირობები

■ ვიდეო ჩაწერილი უნდა იყოს მაღალი ხარისხის აუდიოთი და რეზოლუცია განისაზღვრება მინიმუმ 1280x720 პიქსელით
■ ვიდეოს ჩაწერა შესაძლებელია ნებისმიერი მოწყობილობით
■ ვიდეო ჩანაწერის დასაწყისში, აპლიკანტმა უნდა გამოაცხადოს თავისი სახელი, გვარი და პროგრამის დასახელება: “Yamaha Scholarship Program 2022/23”
■ აპლიკანტი ნათლად უნდა ჩანდეს ვიდეოში, რადგან მოხდეს მისი იდენტიფიცირება
■ აპლიკანტს მოეთხოვება ჩანაწერის youtube-ს ლინკით გადმოგზავნა. ის უნდა იყოს გაგზავნილი კონფიდენციალურობის „ გამოუქვეყნებელი“ პარამეტრებით, (ხელმისაწვდომი მხოლოდ მათთვის, ვისაც აქვს ლინკი)
■ ორივე ვიდეოჩანაწერი ჩაწერილი უნდა იყოს ერთიანად, ყოველგვარი შესწორებების გარეშე და აიტვირთოს ერთ ვიდეო ფაილად

6.განრიგი

სექტემბერი 22	ოქტომბერი 22	ნოემბერი 22	დეკემბერი 22	იანვარი 23	თებერვალი 23
განცხადებების მიღების პერიოდი (1 სექტემბერი - 30 ნოემბერი)			**პირველი მოსმენა**	**პირველი მოსმენის შედეგები**	**ფინალური მოსმენა**

7. შენიშვნები

■ ფინალური მოსმენა ჩატარდება არაბთა გაერთიანებული საემიროს მთავრობის მიერ გამოცხადებული ჯანმრთელობის რეგულაციების შესაბამისად და ყველა მონაწილე ვალდებულია დაიცვას ის
■ ფინალურ მოსმენაში მონაწილეობის მისაღებად , შესაძლოა აპლიკანტებს მოეთხოვოთ მათი ჯანმრთელობის შესახებ დოკუმენტაციის წარდგენა (კოვიდ პასპორტი, PCR ტესტი)
■ გაუთვალისწინებელი გარემოებების გამო, შესაძლოა შეიცვალოს მოსმენის პირობები, მაგ: შეიძლება ჩატარდეს ონლაინ, თუ ორგანიზატორების აზრით რთული იქნება ფიზიკური ღონისძიების გამართვა.

ჟიურის თავმჯდომარე

Riccardo Crocilla (იტალია)

რიკარდო კროცილა (Riccardo Crocilla) დაიბადა 1967 წელს პალერმოში , კლარნეტზე დაკვრის სწავლა დაიწყო პაგანინის კონსერვატორიაში, გენუაში, გ.ლარუჩიას ხელმძღვანელობით. ადრეულ ასაკში წარჩინებით დაასრულა სწავლა, ამის შემდეგ მუშაობდა ჯუზეპე გარბარინოსთან და თომას ფრიდლისთან. პირველად კლარნეტისტის პოზიციები მოირგო კალიარის, გენუას, ტრიესტრის და ლოზანას სიმფონიურ და საოპერო ორკესტრებში, 1996 წლიდან არის მთავარი კლარნეტისტი Maio Musicale Fiorentino ორკესტრის, ფლორენციაში Zubin Mehta ხელმძღვანელობით. ის ასევე მონაწილეობდა იტალიურ რადიო და სატელევიზიო ორკესტრთან (RAI) , კამერული ორკესტრი პადუა და ვენეტო, ისრაელის ფილარმონიის ორკესტრი, პარმა ოპერის ანსამბლი, ფილარმონია della Scala და Accademia di Santa Cecilia ორკესტრი, ,მსოფლიოს წამყვანი დირიჟორების ხელმძღვანელობით: M.W. Chung, L.Maazel, R. Muti, Z.Mehta, W.Sawallisch,G.Sinopoli, C.Abbado, G.Pretre.

მისი სოლო კარიერის, ერთ-ერთი მთავარი მომენტია, მოცარტის კლარნეტის კონცერტის შესრულება Zubin Mehta ხელმძღვანელობით Palazzo Vecchio - ში, ფლორენციაში, ისევე როგორც, საპრემიერო შესრულება Sofia Gubaidulina- ს “Warum?” ფლეიტის, კლანტერისა და ორკესტრისთვის. კროცილა პრესტიჟული ჯილდოს Premio Galileo 2000 მფლობელია, როგორც ახალგზარდა, გამოჩენილი იტალიერი შემსრულებელი.
მას ჩაწერილი აქვს Arts record, Columna musica, NBB records და Idyllium-თვის და არის endorser Yamaha clarinet, D’Addario reeds, and Zac ligature.

Yamaha Music Gulf:
დაარსდა 1997 წელს, Yamaha Music Gulf FZE (YMGF) გთავაზობთ სრულ ხაზს მუსიკალური ინსტურმენტების, პროფესიონალური და კომერციული აუდიო პროდუქციის, ასევე მუსიკალური სკოლების ფუნქციონირებას დუბაისა და არაბთა გაერთიანებულ საამიროში.YMGF არის იაპონიის Yamaha Corporation-ის 100% შვილობილი კომპანია და მოიცავს აფრიკის, CIS-ს, ახლო აღმოსავლეთისა და დასავლეთ აზიის ტერიტორიებს.

დამატებითი ინფორმაციისათვის დაუკავშირდით ადგილობრივ ოფიციალურ წარმომადგენლობას:

IMTC MUSIC LLC
მის: თბილისი, მ.კოსტავას ქ.#72
ტელ: 032 2 36 40 45
www.yamaha.ge